



წინადადებების მოთხოვნა კაიზერ მაქსიმილიანის ჯილდო ევროპული სამსახურისთვის რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე 2021

1997 წელს, ინსბრუკის ყოფილი მერის და ტიროლის სახელმწიფო პარლამენტის პრეზიდენტის დოქტორ ალოის ლუგერის (+) დაბადებიდან 85 წლისთავზე, ტიროლის ოლქმა და ქალაქ ინსბრუკმა, დააწესეს კაიზერ მაქსიმილიანის ჯილდო ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ პოლიტიკაში გამოჩენილი მიღწევებისთვის. ჯილდო ეძღვნება დოქტორ ლუგერის მიერ ევროპისთვის გაწეულ სამსახურს.

კაიზერ მაქსიმილიანის საიუბილეო 2019 წლისათვის მზადების ფარგლებში, ტიროლის ოლქმა და ქალაქ ინსბრუკმა მეორედ დააწესეს კაიზერ მაქსიმილიანის ჯილდო.

ჯილდო ეძღვნება პიროვნებების, დაწესებულებების და ორგანიზაციების განსაკუთრებულ პროექტებს, რომლებსაც მოაქვთ დამატებითი ღირებულებები რეგიონულ და/ან მუნიციპალურ დონეზე ევროპაში. პროექტის მონაწილეები უნდა იყვნენ საიმედო და შეძლონ პროექტის განხორციელება.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პროექტებს, რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ევროპის ჰარმონიზაციაში, ევროპულ ინტეგრაციაში და, ასევე, ევროპაში მშვიდობიან თანაარსებობასა და ურთიერთშეთანხმებულობაში. მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე. წარმოდგენილი პროექტები უნდა უზრუნველყოფდნენ მოწინავე პრაქტიკის შემუშავებას, რომელიც შეიძლება გადაეცეს სხვა თემებსა და რეგიონებს.

მაღალმა საზოგადოებრივმა სტატუსმა უნდა გააძლიეროს ევროპის იდეა მოქალაქეთა შორის. პროექტი არ უნდა იყოს გამიზნული მოგების ან სხვა აქტივების მიღებაზე და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამართლებრივ დებულებებს ან ზოგად ევროპულ სამართლებრივ პრინციპებს.

წარმოდგენილი პროექტებს უნდა: ჰქონდეს ინოვაციური ორიენტაცია; იყენებდნენ ახალ მიდგომებს ან ორგანიზაციულ მეთოდებს; და მოიცავდეს

პროექტის ეფექტიანობის და პროექტის მიზნების შეფასებას, ან მოსალოდნელ შედეგებს. გადამწყვეტ როლს აქ თამაშობს ევროპული ინტეგრაციის სხვადასხვა ასპექტი. გადამწყვეტ კრიტერიუმებს მიეკუთვნება: პროექტის ეფექტიანობა; მდგრადობა და კრეატიულობა; და სხვა სამიზნე ჯგუფების მოტივაციაზე ორიენტაცია, დამოუკიდებლად ჩაერთონ ევროპასთან ურთიერთობაში.

კაიზერ მაქსიმილიანის ჯილდოს გადაცემა ხდება ორ წელიწადში ერთხელ. ჯილდო შედგება სერტიფიკატის, მედლის (1509 წლიდან იმპერატორის მაქსიმილიან I-ის მედალიონი) და ფულადი პრემიისგან 10 000 ევროს ოდენობით. ფულადი პრემია გამარჯვებული პროექტისთვის არის განკუთვნილი.

ჯილდო გადაეცემა პიროვნებებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე ევროპისთვის გაწეული სამსახურისათვის.

პროექტების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ ვებგვერდზე ინტეგრირებული აპლიკაციის პლატფორმის მეშვეობით: www.kaisermaximilianpreis.at. პროექტები წარდგენილი უნდ იყოს გერმანულ, ფრანგულ ან ინგლისურ ენებზე.